პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№51 (4045) 14 1970 წ. მარტი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культург и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## დინამოელთა უპირატესობით

თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური ტანვარჯიშული სპორტსკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს სსრ პირად-გუნდური პირველობა ტანვარჯიშში. აქ პირველად გათამაშდა თასი მრავალჭიდში, რომელიც დაისაკუთრეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა — „დინამოს" წევრებმა, სპორტის ოსტატებმა როზა ბერიკაშვილმა და მიხეილ ბოგუსმა. II და III ადგილები დაიკავეს ლ. გათენდაშვილმა და ვ. ბოგოლიუბოვამ (ქალთა შორის), ი. ნინოშვილმა და გ. ლოლაძემ (ვაჟთა შორის).

საერთო გუნდური I ადგილი და გარდამავალი თასი გადაეცა „დინამოს". II ადგილზეა „ბურევესტნიკი", III — „განთიადი".

ქალთა გუნდებს შორის საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. „განთიადი", 2. „ბურევესტნიკი", 3. „ლოკომოტივი", ვაჟთა შორის: 1. „დინამო", 2. „ბურევესტნიკი", 3. „განთიადი".

ცალკეულ იარაღებზე ჩემპიონობა მოიპოვეს ქალთა შორის თავისუფალ ვარჯიშში და დელზე — ბერიკაშვილმა, ორძელზე — გ. ლიპარტიანმა („სპარტაკი"), ბჯენით ხტომებში — ქ. კობერიძემ (განათლების განყოფილება). ვაჟთა ტურნირში ღერძზე, ორძელზე, რგოლებზე და თავისუფალ ვარჯიშში ყველას აჯობა ბოგუსმა, ბჯენით ხტომებში და ტაიჭზე — ლოლაძემ („დინამო").

**ა. ფხაკაძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

სურათზე: მ. ბოგუსი რგოლებზე ვარჯიშის დროს.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

## [illegible]

● **თეირანი**, 12 მარტი. „ამჯადიეს" სტადიონზე დაიწყო „მეგობრობის თასის" ტრადიციული გათამაშება, რომელშიც ცსკა-ს ფეხბურთელთა გუნდიც მონაწილეობს. პირველ მატჩში მოსკოველები ირანის ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდნენ. მრავალრიცხოვან მაყურებელთა შორის იყო ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, პრინცი გოლიამ რეზა ფეჰლევი. საინტერესო თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. ცსკა-ს გარდა ტურნირში მონაწილეობენ თურქეთის, პაკისტანის, უნგრეთის, რუმინეთისა და ირანის გუნდები. რუმინელებმა დაამარცხეს უნგრელები — 3:1.

● **ბელგრადი**, 12 მარტი. 8 მარტისადმი მიძღვნილ მოჭადრაკე ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში კვლავ წარმატებით თამაშობს მოსკოველი ა. კუშნირი: III ტურში მან სძლია იუგოსლაველთა გუნდის ლიდერს ლაზარევიჩს, ხოლო IV — რუმინელ პოლიქრონიადეს. როგორც ვიუწყებოდით, იუგოსლაველ კ. იოვანოვიჩთან II ტურში გადადებულ პარტიაში კუშნირი გამარჯვების შანსს ინარჩუნებს. მსოფლიო ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა მხოლოდ ერთი შეხვედრა დაამთავრა: III ტურში იგი ყაიმზე შეუთანხმდა პოლონელ რაძიკოვსკას. ნონას დასამთავრებელი აქვს პარტიები ლაზარევიჩთან, პოლიქრონიადესთან და ნიკოლაუსთან (რუმინეთი).

● **ლუგანო**, 12 მარტი. მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში პირველად „დაუცდა ფეხი" დანიელ ბ. ლარსენს: VIII ტურში მან წააგო ვ. უნციკერთან (გფრ). მიუხედავად ამისა, ლარსენი 6 ქულით ლიდერობას ინარჩუნებს. წინ კიდევ 6 ტურია.

● **ტერსკოლი**. 12 მარტი. სსრ კავშირის სამთომოთხილამურეთა ჩემპიონატში გიგანტური სლალომის ტრასაზე ქალთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა კემეროვოელმა ნ. ხალზოვამ — 2.01,5. ვერცხლი ერგო გ. სიდოროვას (მოსკოვი) — 2.02,85, ბრინჯაო — გ. შალოზიომოვას (სვერდლოვსკი) — 2.06,51. ვაჟთა ასპარეზობა მოიგო ა. ტორმოსინმა (მოსკოვი) — 2.05,45. II ადგილზეა ა. პროკოფიევი (მურმანსკის ოლქი) — 2.06,73, III — ტ. მონასტიროვი (მოსკოვი) — 2.07,53.

## სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტში

სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგმა სხდომამ მოისმინა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის კ. ანდრიანოვის ინფორმაცია ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების თათბირისა და სოკ-ის სხდომის შედეგებზე (ორივე ეს შეკრება 1970 წლის თებერვალში მოეწყო).

საერთაშორისო სპორტულ ფედერაციათა გენერალური ასამბლეის მომავალ სხდომასთან და ამ სხდომაზე 1976 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის კანდიდატი ქალაქების წარმომადგენელთა მიწვევასთან დაკავშირებით, პრეზიდიუმმა დაამტკიცა სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობა.

პრეზიდიუმმა განიხილა სოკ-ის მომავალი სესიისთვის მზადების საკითხები. ეს სესია, რომელმაც 1976 წლის ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი ქალაქები უნდა დაასახელოს, მაისში ჩატარდება ამსტერდამში. (საკდესი).

## კიცხავენ რასიზმს სპორტში

**ლონდონი,** 12 მარტი. ტრედ-უნიონთა შოტლანდიის კონგრესის გენერალური საბჭო მკაცრად კიცხავს რასიზმის პოლიტიკას სპორტში, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ატარებს. გენერალური საბჭოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ აუცილებელია გაწყდეს კავშირი რასისტული ნიშნის მიხედვით შერჩეულ სამხრეთაფრიკელთა სპორტულ გუნდებთან და განხორციელდეს პროტესტი წლეულს ინგლისში ამ რესპუბლიკის კრიკეტის გუნდის მატჩების წინააღმდეგ.

## შეფების დახმარება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოიწონა და მხარი დაუჭირა ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის თაოსნობას, რომელმაც ჩვენი ქვეყნის სტუდენტებს მოუწოდა დახმარება გაუწიონ სოფლის სპორტსმენებს. კომიტეტმა აღნიშნა მათი დამსახურება, ვინც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამ თაოსნობის განხორციელებაში. მადლობა გამოუცხადეს და კომიტეტის საპატიო სიგელები გადასცეს ცენტრალურ, საქართველოს, ომსკისა და ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტებს, ლიტვის ბრიგადის ხელმძღვანელს ვ. ბაკუნასს, საქართველოს ბრიგადის მეთაურს ი. ნიკოლაიშვილს და ომსკის ბრიგადის ხელმძღვანელს ი. სიმაკოვს.

კომიტეტის სიგელებით დაჯილდოვდნენ ბელორუსიის, ვოლგოგრადის, კიევის, ლიტვის ფიზკულტურის ინსტიტუტები, გომელის უნივერსიტეტის ფიზაღზრდის ფაკულტეტი, აგრეთვე, აქტივისტთა დიდი ჯგუფი.

ამ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ანგარიშზე ბევრი კარგი საქმე მოდის. შარშან ზაფხულს ბელორუსიაში ბევრმა სოფლელმა ბავშვმა ისწავლა ცურვა მინსკელი სტუდენტების დახმარებით. ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ასზე მეტი საუბარი ჩაატარეს სპორტულ თემებზე, მოაწყვეს თითქმის 2.000 მეცადინეობა სექციებში.

ქვეყნის სხვადასხვა რაიონში 40 საშეფო ბრიგადა გაიგზავნა. სტუდენტებმა თითქმის 1000 კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობაში იმუშავეს.

სულ სასოფლო ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩატარდა 500-მდე სემინარი საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად, ჩამოყალიბდა 800 სპორტული სექცია, 40 „ჯანმრთელობის ჯგუფი". ინსტიტუტის ბრიგადებმა სოფლის მოსახლეობას დახმარება გაუწიეს 200-ზე მეტი გუნდის შექმნაში, რომლებმაც შარშან ზაფხულს სხვადასხვა შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა.

შეფების დახმარებით აიგო 2 სტადიონი, მოეწყო 3 კომპლექსური მოედანი, 40 საფეხბურთო მინდორი, 196 სათამაშო მოედანი. ამას გარდა დახმარება გაეწია 62 რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებს. (საკდესი).

## მოსკოვის ნაკრებს...

**ჩელიაბინსკი,** 12 მარტი. რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის მთავარი პრიზი გუშინ ადგილობრივ სპორტის სასახლე „იუნოსტში" მოსკოვის ნაკრებ გუნდს გადაეცა. რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს პრიზებს დაეუფლნენ, აგრეთვე, ლენინგრადის, მოსკოვის, გორკისა და კიროვის ოლქების გუნდები, რომლებმაც შესაბამისად II-V ადგილები დაიკავეს.

შემდეგ საკავშირო პროფსაბჭოს, სსრ კავშირისა და რსფსრ-ს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების პრიზები გადაეცათ „ტრუდის", „ბურევესტნიკისა" და „დინამოს" სპორტსმენებს, რომლებმაც სპარტაკიადაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო პრიზი — კოლექტივიზმის, ვაჟკაცობისა და გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის — გადაეცა გორკის ოლქის ნაკრებ გუნდს.

სპარტაკიადის სტუმრების — 8 მოკავშირე რესპუბლიკის საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტული საზოგადოებების ჯგუფში ადგილები ასე განაწილდა: „ენბეკი" (ყაზახეთი), „ავანგარდი" (უკრაინა), „კალევი" (ესტონეთი), „განთიადი" (საქართველო), „იიუდი" (ესტონეთი), „უროჟაი" (ბელორუსია), „ნოორუსი" (ესტონეთი), „დაუგავა" (ლატვია), „ვარპა" (ლატვია).

## სტარტს იღებს პირველი ევროპული...

ვენა, 11 მარტი. ავსტრიის დედაქალაქის უდიდეს სპორტის სასახლეში—„შტადტჰალეში" მთავრდება მზადება დარბაზებში ევროპის მძლეოსანთა პირველი ოფიციალური ჩემპიონატისთვის. სასახლე, რომლის ტრიბუნებიც 7 ათას მაყურებელს იტევს, პრაქტიკულად უკვე მზადაა კონტინენტის მძლეოსნური ელიტის მისაღებად. სპრინტერებისთვის დარბაზის ცენტრში მოეწყო ფართო, სიგრძით 78-მეტრიანი ბილიკი (6 ზოლი). სიმაღლეზე მხტომელების გასარბენი ბილიკი, რომელიც თამასასთან 21-გრადუსიან კუთხეს ქმნის, 17 მეტრია, სამხტომელების და სიგრძეზე მხტომელების გარბენის ბილიკი — 59 მეტრი, ჭოკით მხტომელებისა — 45. ყველა ბილიკი დაფარულია ტარტანის ტიპის ხელოვნური მასალის — რეკორტანის ფენით. „მინი-სტადიონს" გარს აკრავს 200-მეტრიანი სარბენი ბილიკი, რომელიც ასევე რეკორტანითაა დაფარული.

სხვათა შორის, რეკორტანმა უკვე მიიღო სპეციალისტებისგან უმაღლესი შეფასება. ამას წინათ სწორედ „შტადტჰალეში" ავსტრიელმა ილონა გუზენბაუერმა ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა — რეკორტანის ბილიკზე სიმაღლეზე ხტომაში 187 სმ აჩვენა.

ჩემპიონატის ორგანიზატორები 24 ქვეყნის 325 სპორტსმენს ელიან. პრეს-ცენტრის მონაცემებით, ვენაში თავის წარმომადგენლებს არ გამოგზავნის ევროპის მხოლოდ 7 ქვეყანა — ალბანეთი, გიბრალტარი, ისლანდია, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, მალტა და პორტუგალია.

ჩემპიონატის პროგრამაში 22 სახეობა შედის. პრაქტიკულად კი მთელი ასპარეზობა ერთი დღე-ღამისთვისაა დაგეგმილი: სპორტსმენები სტარტს აიღებენ 14 მარტს ადგილობრივი დროით 15 საათზე, ბოლო სტარტი კი 15 მარტს მოეწყობა 18 საათსა და 30 წუთზე.

ქალები იასპარეზებენ მძლეოსნობის 9 სახეობაში: 60, 400 და 800 მეტრზე რბენაში, 60 მეტრზე თარჯრბენში, ესტაფეტებში 4×200 და 200+400+600+800 მეტრზე, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში.

ვაჟთა შეჯიბრებები გაიმართება დამატებით 1500 და 3000 მეტრზე რბენაში, ესტაფეტებში 4×400, 400+600+800+1000 მეტრზე, სამხტომსა და ჭოკით ხტომაში.

ევროპის სპორტული საზოგადოებრიობის ინტერესი ამ შეჯიბრებისადმი უაღრესად დიდია. პრეს-ცენტრში უკვე აკრედიტებულია 400 ავსტრიელი და უცხოელი ჟურნალისტი. „შტადტჰალედან" გადაცემების მოწყობას სურვილი 32 რადიო და ტელეკომპანიამ გამოთქვა.

* * *

ვენის ასპარეზობის მონაწილე საბჭოთა ნაკრებში შედის ორი მსოფლიო რეკორდსმენი და ხუთი ევროპის შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული სპორტსმენი. ესენი არიან: ჩვენი პლანეტის უძლიერესი მტყორცნელი, ლენინგრადელი სტუდენტი ნ. ჩიჟოვა, სამხტომის შეუდარებელი ოსტატი, სოხუმელი აგრონომი ვ. სანეევი, კონტინენტის უსწრაფესი სპრინტერი, კიეველი ვ. ბორზოვი, ევროპის რეკორდის მფლობელი სიგრძეზე ხტომაში, მოსკოველი ასპირანტი ი. ტერ-ოვანესიანი, ევროპაში საუკეთესო სიმაღლეზე მხტომელი, მოსკოველი ვ. გავრილოვი.

გუნდში შედიან საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენელი სპორტსმენები, რომელთა სახელებიც კარგადაა ცნობილი მძლეოსნობის მოყვარულებისთვის.

**ვ. სოლოვიოვი,**
**ა. ურბანი.**
(საკდესის კორ.).

# რეკორდებს შტევენ

ბაქოში, „ნევთჩის" 25-მეტრიან აუზში გაიმართა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე უფროსი ასაკის მოცურავეთა საკავშირო ტურნირის შესარჩევი ზონალური შეჯიბრება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის გუნდებს შორის.

სააპარეზოდ დაიშვებოდნენ მხოლოდ ის მოცურავეები, რომლებიც ზონაში 12 საუკეთესოს შორის მოხვდნენ (რესპუბლიკური პირველობების მიხედვით, ყველა სახეობაში და დისტანციაზე ცალ-ცალკე). საინტერესოა, რომ მოცურავეს, რომელიც ამ 12 უძლიერესის რიცხვში მხოლოდ ერთ სახეობაში, ერთ დისტანციაზე (რომელშიც იგი ვალდებულია გამოვიდეს) მოხვდა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პროგრამის სხვა ნომრებშიც. ამიტომ ბევრ სახეობაში მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

საქართველოდან სტარტზე გამოსვლის უფლება 47 სპორტსმენმა მოიპოვა, მასპინძლებიდან — 39, მოლდავეთიდან — 20, ხოლო სომხეთიდან — 17 მოცურავემ.

ახალი წესებით, გუნდურ ჩათვლაში 6 პირველი სპორტსმენის შედეგი შედის: I ადგილი იძლევა 13, II — 11, III — 9 ქულას.

ცურვის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, სპორტსმენი ქულას აძლევს არა მარტო თავის რესპუბლიკას, არამედ იმ სპორტსაზოგადოებასაც, რომელშიც იგი ირიცხება, აუზს, სადაც ვარჯიშობს და უმაღლეს სასწავლებელს, სადაც სწავლობს.

ახალმა სისტემამ კარგი ნაყოფი გამოიღო: ბევრმა მოცურავემ უკვე სეზონის დასაწყისში აჩვენა თავისი საუკეთესო შედეგი.

სსრ კავშირის სხვადასხვა კუთხიდან სასიამოვნო ცნობები მოდის ქვეყნის ახალი რეკორდების შესახებ. გამონაკლისს არც საქართველოს სპორტსმენები წარმოადგენენ, რომლებმაც ბაქოში გუნდური პირველობა დაისაკუთრეს, თუმცა მათ გამარჯვება იოლად არ მოუპოვებიათ: პირველი დღის შემდეგ აზერბაიჯანის გუნდი საქართველოს ნაკრებს 19 ქულით უგებდა, მეორე დღეს — 20 ქულით. ბოლოს, მესამე დღეს ჩვენებმა ჯერ მდგომარეობა გამოასწორეს, ბოლოს კი 40 ქულით ჩამოიტოვეს მასპინძლები.

პირად პირველობაში თავი გამოიჩინეს საქართველოს ვაჟებმა, რომელთა უმრავლესობამ გაიმეორა, ხოლო ზოგმა გააუმჯობესა კიდეც პირადი რეკორდი. მათ 12-დან შვიდ დისტანციაზე გაიმარჯვეს. თბილისის დინამოელმა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. იოაკიმიდიმ ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 4.53,5. მანვე გაიმარჯვა ამავე დისტანციაზე თავისუფალი სტილით (4.26,0), 200 მეტრზე კომპლექსურ (2.20,4) და ბატერფლაით ცურვაში (2.18,5).

ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ვ. კრასკომ, როგორც ვიუწყებოდით, ახალი რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.19,9. კრასკოს III ადგილი ხვდა, მაგრამ ეს მის ნიჭს სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს, მით უმეტეს, რომ კრასკო მხოლოდ ორი წელია, რაც ცურვაში ვარჯიშობს.

ჩვენ იმასაც ვწერდით, რომ თბილისის დინამოელმა, 56-ე საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ ი. ლისეცკიმ 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა (18.04,1). ახლა დავუმატებთ, რომ მან „გზად" 800 მეტრზეც აჩვენა ჭაბუკთა სარეკორდო შედეგი — 9.36,3.

საქართველოში მუდამ გვყავდა მაღალი კლასის ბრასისტები, რომლებიც დიდ საერთაშორისო შეხვედრებში წარმატებით იცავდნენ ქვეყნის ღირსებას. დღეისთვის ასეთია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ი. კირდიანოვი („დინამო"), რომელმაც ბაქოში შესანიშნავი შედეგები აჩვენა 100 და 200 მეტრზე ცურვაში (1.08,4 და 2.28,7).

ერთი სიტყვით, ჩვენი ვაჟების მიმართ საყვედური არ გვეთქმის, გოგონებმა კი თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს. გამონაკლისია მხოლოდ თბილისელი თ. ლეკვეიშვილი („დინამო"), რომელმაც სსრ კავშირის გოგონათა რეკორდით გაიმარჯვა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.30,7. მანვე ყველას აჯობა 100 მეტრზეც (1.10,5).

I ადგილი მოიპოვა თბილისის დინამოელმა ლ. მარღანიამაც 100 მეტრზე ბატერფლაით, მაგრამ ეს წარმატებად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მარღანიას შედეგი (1.19,2) მხოლოდ II თანრიგის ნორმატივს უდრის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბატერფლაი მარღანიას სახეობა არაა. „თავის" სახეობაში — ბრასით 100 მეტრზე ცურვაში მან 1.22,3 აჩვენა და II ადგილი დაიკავა, 200 მეტრზე კი X (3.09,7) ადგილი ხვდა. უკეთ გამოსვლა კი მარღანიას შეეძლო. გავიხსენოთ თუნდაც რესპუბლიკური რეკორდები (1.20,8 და 2.57,0), რომლებიც მან ამას წინათ დაამყარა რესპუბლიკურ ტურნირში.

ძალიან სათუო მდგომარეობაა დანარჩენ სახეობებში, განსაკუთრებით თავისუფალი სტილით სპრინტერულ დისტანციებზე ცურვაში. საქართველოს გუნდიდან საუკეთესომ ს. კოტოვამ 100 მეტრზე შეჯიბრებაში მხოლოდ V ადგილი დაიკავა (1.12,7), ხოლო 200 მეტრზე ცურვაში — VI ადგილი (2.42,0).

ასეთივე სურათი იყო ვაჟთა შეჯიბრებაში. ამავე სახეობაში და ამავე დისტანციებზე ბათუმელმა ა. პახათურიდიმ V ადგილები (58,8 და 2.09,5) დაიკავა.

**ბ. გურასაშვილი.**

**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ბაქო.

• • •



**სურათზე:** ა. იოაკიმიდი შეჯიბრების დროს.

ფოტო ავტორისა.

• • •

## ტექნიკური შედეგები

### ქალები

**თავისუფალი სტილი. 100 მ.** ლ. კოტოვა — 1.08,4, ნ. კოლესნიკოვა — 1.10,0, ლ. ხარიტონოვა (ყველა — აზერბაიჯანი) — 1.10,4; **200 მ.** თ. გორნოვა (აზერბაიჯანი) — 2.31,5, კოტოვა — 2.31,6, კოლესნიკოვა — 2.36,4; **400 მ.** გორნოვა — 5.26,8, კოლესნიკოვა — 5.39,0, კოტოვა — 5.43,2; **800 მ.** გორნოვა — 11.24,6, კოტოვა — 11.41,3, თ. სტეპანოვა (მოლდავეთი) — 12.07,5;

**ბრასი. 100 მ.** ა. ჯილოიანი (სომხეთი) — 1.21,6, ლ. მარღანია — 1.22,3, ნ. ნესტეროვა (აზერბაიჯანი) — 1.26,6; **200 მ.** ნესტეროვა — 2.53,0, ჯილოიანი — 2.58,3, ე. სედოიკოვა („სპარტაკი", ბათუმი) — 3.00,2;

**გულაღმა. 100 მ.** თ. ლეკვეიშვილი — 1.10,5, თ. მონასტირსკაია (აზერბაიჯანი) — 1.19,3, ნ. ჭუმბაძე („ლოკომოტივი", თბილისი) — 1.22,4; **200 მ.** ლეკვეიშვილი — 2.30,7 (სსრ კავშირის გოგონათა რეკორდი), მონასტირსკაია — 2.51,6, ჭუმბაძე — 2.58,0;

**ბატერფლაი. 100 მ.** მარღანია — 1.19,2, სტეპანოვა — 1.19,9, ი. ტურლაკოვა (აზერბაიჯანი) — 1.20,9; **200 მ.** სტეპანოვა — 3.00,2, ე. კარაკაევა (სომხეთი) — 3.07,1, ტურლაკოვა — 3.08,6;

**კომპლექსური ცურვა. 200 მ.** სტეპანოვა — 2.50,7, ვ. ბახი („დინამო", თბილისი) — 2.55,5, ი. ჩულკოვა (აზერბაიჯანი) — 2.59,9; **400 მ.** სტეპანოვა — 6.00,4, ბახი 6.16,8, ჩულკოვა — 6.22,9;

### ვაჟები

**თავისუფალი სტილი. 100 მ.** გ. ვუკოლოვი (სომხეთი) — 56,6, ს. აგლაძე — 57,7, ვ. ვერემიაკოვი (ორივე — აზერბაიჯანი) — 57,7; **200 მ.** ვუკოლოვი — 2.05,4 (სომხეთის რეკორდი), აგლაძე—2.06,9 (აზერბაიჯანის რეკორდი), ვერემიაკოვი — 2.08,2; **400 მ.** ა. იოაკიმიდი — 4.26,0, ვუკოლოვი — 4.31,1, ი. ლისეცკი — 4.32,3; **1500 მ.** ლისეცკი — 18.04,1 (საქართველოს ჭაბუკთა რეკორდი), ვ. კრასკო — 18.54,8, ბ. გერასიმოვი (მოლდავეთი) — 19.14,7;

**ბრასი. 100 მ.** ი. კირდიანოვი — 1.08,4, ი. ზუევი (მოლდავეთი) — 1.10,0, ა. კაზაროვი („დინამო", თბილისი) — 1.12,2; **200 მ.** კირდიანოვი — 2.28,7, ზუევი — 2.38,0, კაზაროვი — 2.39,4;

**გულაღმა. 100 მ.** ვ. კრივცევი (აზერბაიჯანი) — 1.02,1, ვ. პალკინი (სომხეთი) — 1.02,2, კრასკო — 1.05,8; **200 მ.** კრივცევი — 2.17,9, პალკინი — 2.18,5 (სომხეთის რეკორდი), კრასკო — 2.19,9 (საქართველოს რეკორდი); **ბატერფლაი. 100 მ.** ვ. პახომოვი—1.02,0, ა. კრესტინი — 1.03,1, მ. ცირულიხი (ყველა — აზერბაიჯანი) — 1.04,7; **200 მ.** იოაკიმიდი — 2.18,5, პახომოვი — 2.18.7, ა. ხეხტოიანი („დინამო", თბილისი) — 2.21,6;

**კომპლექსური ცურვა. 200 მ.** იოაკიმიდი — 2.20,4, კირდიანოვი — 2.23,4, პახომოვი — 2.23,6; **400 მ.** იოაკიმიდი — 4.53,5 (საქართველოს რეკორდი), ხეხტოიანი — 5.09,5, ნ. ზემლიანუხინი („ბურევესტნიკი", ბათუმი) — 5.12,5.

**გუნდური. რესპუბლიკებს შორის.** 1. საქართველო — 472 ქულა, 2. აზერბაიჯანი — 432, 3. მოლდავეთი — 176; **სპორტსაზოგადოებებს შორის.** 1. „დინამო" (საქართველო) — 295, 2. „ნევთჩი" (აზერბაიჯანი) — 217, 3. „ბურევესტნიკი" (აზერბაიჯანი) — 104; **აუზებს შორის:** 1. „დინამო" (საქართველო) — 278, 2. „ნევთჩი" (აზერბაიჯანი) — 213, 3. ერევნის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის აუზი — 126; **უმაღლეს სასწავლებლებს შორის:** 1. აზერბაიჯანის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 276, 2. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი — 136, 3. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 129.

# ოლიმპიური ჩემპიონის ყაიდით

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონმა წლევანდელი სეზონი 15-16 წლის მძლეოსანთა საქალაქო პირველობით გახსნა. შეჯიბრება პირადი იყო, ამიტომ სარბიელზე უმეტესად განათლების განყოფილებისა და პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლების აღსაზრდელები, აგრეთვე, გლდანის სპორტსკოლა-ინტერნატის მძლეოსნები გამოვიდნენ. როგორც შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა მ. ტულუშმა გვითხრა, სწორედ ამ ასაკის სპორტსმენებმა უკვე სამიოდე წლის შემდეგ უნდა შეავსონ მოზრდილთა რესპუბლიკური ნაკრები. მართლაც, ტურნირმა რამდენიმე ნიჭიერი მოზარდი გაგვაცნო, რომელთაც შესანიშნავი მონაცემებიც აქვთ და მონდომებაც. მათგან ზოგი სარბენ ბილიკებზე თუ სექტორებში თავისუფლად, დაუძაბავად გრძნობს თავს, რაც შედეგებსაც დაეტყო. ასეთები არიან, მაგალითად მ. ალიაკრინსკაია, ტ. ივანოვა, ვ. მინაკოვა, ს. ჟივაიკინა, ჯ. ბრეგვაძე, ვ. პლიევი (ყველა — პროფსაბჭოს სკოლა), ა. ბოგდანოვი, ნ. კოჯაევი, გ. ელიაშვილი, ლ. კოვალიოვა, ი. მიხაილოვი (ყველა — განათლების განყოფილება). ზოგიერთი უფრო მოკრძალებულია, გაუბედავი, შეჯიბრების პირობებს მიუჩვეველი. მაგალითად, ამიტომაც იყო, რომ ბ. მეტრეველმა (გლდანის ინტერნატი), ე. სოხაძემ (პროფსაბჭოს სკოლა), გ. ბედოშვილმა და თ. ლოლაძემ (ორივე — განათლების განყოფილება) თავიანთი ნიჭი და უნარი მთლიანად ვერ გამოავლინეს.

სპეციალისტების ყურადღება განსაკუთრებით ლოლაძემ მიიპყრო. საქართველოს გამოჩენილი მწვრთნელების აზრით, ამ გოგონას შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემები აქვს, ოღონდ ახლა საჭიროა ამ შესაძლებლობათა სწორი განვითარება.

პირველმა სტარტმა და უხეირო ამინდმა შედეგებზე იმოქმედა, მაგრამ ბრძოლის დაძაბულობა ოდნავადაც არ შეუნელებია. მაგალითად ისიც კმარა, რომ ჭოკით ხტომაში ოთხმა მონაწილემ დაძლია ერთნაირი სიმაღლე — 280 სმ. ესენი არიან ვ. სოხაძე, გ. კალანიძე (ორივე — პროფსაბჭოს სკოლა), კ. სიმონიანი და ა. მარავსკი (ორივე — განათლების განყოფილება). პირველობა კალანიძის მიეკუთვნა.

100 მეტრზე რბენაში 40 ჭაბუკი მონაწილეობდა. ფინალში ჯ. ბრეგვაძემ და კოჯაევმა 11,5 წამი აჩვენეს, მაგრამ ბრეგვაძე მკერდით წინ აღმოჩნდა. ასევე ერთნაირი მაჩვენებლებით (170 სმ) დაამთავრეს სიმაღლეზე ხტომა ვ. პლიევმა და ს. ზურნაჩიანმა (განათლების განყოფილება). პლიევი მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონის, ამერიკელი რ. ფოსბიურის ყაიდით ხტებოდა, მაგრამ, ცხადია, ამ სტილს ჯერ სრულყოფილად ვერ ფლობს.

უროს ტყორცნაში გ. ელიაშვილმა აშკარად დაჯაბნა მეტოქეები—41,25 მ აჩვენა და II ადგილზე გასულ რ. ფუხაევს (პროფსაბჭოს სკოლა) თითქმის 10 მეტრი მოუგო.

ჭაბუკებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ვ. სანიკიძე. ვინაიდან შეჯიბრების მონაწილეებზე ცოტა უფროსი იყო, იგი 5 კმ-ზე სპორტულ სიარულში უკონკურსოდ მონაწილეობდა და 23.31,8 აჩვენა. ეს ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდზე უკეთესი შედეგია. პირველობა დ. შაბურიშვილს (განათლების განყოფილება) დარჩა — 27.13,0.

გოგონებიდან, პირველ ყოვლისა, ისევ ალიაკრინსკაია უნდა გამოვყოთ. მან შარშანაც რამდენიმეჯერ ისახელა თავი, ამ შეჯიბრებაში კი ორი გამარჯვება მოიპოვა: ჯერ 100 მეტრზე რბენაში (12,9), შემდეგ კი სიგრძეზე ხტომაში (507 სმ).

ამ ტურნირმაც ბევრი ჩრდილი გამოავლინა. განსაკუთრებით უნდა ვუსაყვედუროთ 400 და 800 მეტრზე მორბენალ, აგრეთვე, ბადროსა და შუბის მტყორცნელ გოგონებს. ამ სახეობებში მონაწილეც ცოტა იყო და შედეგებიც ერთობ უხეირო გახლდათ.

ქვემოთ დავასახელებთ მხოლოდ გამარჯვებულებს:

**გოგონები. რბენა. 200 მ.** ტ. ივანოვა — 26,8; **400 მ.** ს. ჟივაიკინა — 1.05,0; **800 მ.** ნ. სუდაკოვსკაია (განათლების განყოფილება) — 2.48,2; **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. მინაკოვა—145 სმ; **ბირთვის კვრა.** ლ. კოვალიოვა — 10,44; **შუბის ტყორცნა.** ქ. სამადაშვილი (პროფსაბჭოს სკოლა) — 27,60; **ბადროს ტყორცნა.** ს. სინცოვა (განათლების განყოფილება) — 25.57.

**ვაჟები. რბენა. 200 მ.** ჯ. ბრეგვაძე — 24,3; **400 მ.** ნ. ტაროიანი (პროფსაბჭოს სკოლა) — 56,2; **800 მ.** ი. ბიხანოვი — 2.10,6; **1500 მ.** ე. არჩვენიძე — 4.35,8; **110 მ თარჯრბენი.** ა. ბოგდანოვი (ყველა — განათლების განყოფილება) — 17,4; **სამხტომი.** გ. კალანიძე — 12,73; **სიგრძეზე ხტომა.** ნ. კოჯაევი — 646; **ბირთვის კვრა.** გ. ბედოშვილი — 12,07; **შუბის ტყორცნა.** ნ. ორფანოვი — 53,78; **ბადროს ტყორცნა.** ვ. შპეტიშვილი (ყველა — პროფსაბჭოს სკოლა) — 42,57.

**ო. ივდოშვილი.**

• • •





**სურათებზე:** ნ. კოჯაევი ახპარეზობისას; 200 მეტრზე მორბენალი გოგონები.

ფოტო ავტორისა.

## [illegible]

### ✦ სოხუმი

დამთავრდა სოხუმის რაიონის მოსწავლეთა პირველობა ჭადრაკში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. I ადგილი დაიკავეს გუმისთის საშუალო სკოლის ნორჩებმა.

**შ. ჯალაღონია.**

### ✦ ოჩამჩირე

მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში უყვართ ტურიზმი და ხშირად აწყობენ ექსკურსიებს. სექციას ხელმძღვანელობს ბიოლოგიის მასწავლებელი ა. იანკოვსკი. ამას წინათ მოსწავლეები იყვნენ ბათუმში, ახალ ათონსა და სოხუმში.

**რ. ჯედია,**

**ფიზაღზრდის მასწავლებელი.**

### ✦ გალი

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პირველობას მოჭადრაკეთა 10 კოლექტივი ეცილებოდა ერთმანეთს. I ადგილი ხვდა მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდს (ო. და ზ. ბჟანიები, კამილა ობოლაძე). მზიურელმა მოჭადრაკეებმა პირად ჩათვლაშიც იმარჯვეს. ვაჟებში ჩემპიონი გახდა ო. ბჟანია, ქალებში — კ. ობოლაძე.

• • •

გალის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირად-გუნდურ პირველობაში ყველას აჯობეს მე-3 სკოლის წარმომადგენლებმა. ჩემპიონები გახდნენ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ტ. აფასავა, ს. კარელოვი, გ. აქუბარია, გ. კორსანტია, რ. კვეკვესკირი, ტ. ყოლბაია, მ. ანთია.

**ბ. ჯეჯეია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფართო გზა საჭადრაკო კომპოზიციას!

## გორის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის საკავშირო კონკურსის — ვ. ქარსელაძის მემორიალის შედეგები

### ეტიუდი № 1
ვ. კალანდაძე



თეთრები იგებენ

### ეტიუდი № 2
რ. დადუნაშვილი



ყაიმი

### ეტიუდი № 3
გ. ნადარეიშვილი



ყაიმი

### ეტიუდი № 4
ვ. ნეიძე



ყაიმი

### ეტიუდი № 5
ი. კრიხელი



ყაიმი

## ლ ა უ რ ე ა ტ ე ბ ი

**ეტიუდები. პრიზები** — I. ა. ალექსეევი (ომსკი), II. ე. პოლოსიანცი (მოსკოვი), III. ვ. კალანდაძე (თბილისი); **საპატიო შეფასებები** — I. ა. კალინინი (მოსკოვი), II. ვ. ბრონი (სვერდლოვსკი), III. ა. კოპნინი (ჩელიაბინსკი), IV. ი. ჩუიკო (მოსკოვი), V. რ. დადუნაშვილი (ქუთაისი); **საქები შეფასებები** — I. ს. ბელოკონი (ხარკოვი), II. რ. რუმიანცევი (სმოლენსკი), III. პოლოსიანცი, IV. ვ. იაკიმჩიკი (უსტ-კამენოგორსკი), V. ბ. ოლიმპიევი (სვერდლოვსკი).

**ქართველ ავტორთა რესპუბლიკური ჯილდოები.** I პრიზი — გ. ნადარეიშვილი; **საპატიო შეფასებები** — I. ვ. ნეიძე (ორივე — თბილისი), II-III. ი. კრიხელი (გორი); **საქები შეფასებები** — I. ვ. სერედა, II. დ. გურგენიძე (ორივე — თბილისი), III. შ. თოთლაძე (გორი).

**სამსვლიანი ამოცანები. პრიზები**—I-II. ა. მოლდოვანსკი და ვ. რუდენკო (უკრაინა), ი. ვლადიმიროვი (მოსკოვი), III. ი. სუშკოვი (ლენინგრადი), **საპატიო შეფასებები** — I. ს. გროდზენსკი, ა. ფეოქტისტოვი (ორივე — მოსკოვი), II. ვ. ტიმონინი (ტამბოვის ოლქი), III. ლ. ულანოვი (საბჭოთა არმია), IV. გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი); **საქები შეფასებები** — I. მ. აზრუმელაშვილი (თბილისი), II. ვ. კარპოვი (ყაზანი), III. ვ. ანტონოვი (ვორონეჟი). **I რესპუბლიკური პრიზი** — ი. კრიხელი.

**მრავალსვლიანი ამოცანები. პრიზები** — I. ვლადიმიროვი, II. ვ. ლედიუშკინი, კოპნინი (ორივე—ჩელიაბინსკი), III. კალინინი; **საპატიო შეფასებები** — I. ა. პოპონდოპულო (ლენინგრადი), II. კრიხელი, III. ფეოქტისტოვი, IV. ნ. ანდრეევი (მოსკოვის ოლქი), V. ი. გაჟიმონუ (ლატვია); **საქები შეფასებები** (თანაბარი უფლებებით)— კუთარაშვილი, ი. ბელიაკინი (სვერდლოვსკი), ნ. ივანოვსკი (არხანგელსკი), კარპოვი, ა. იაროსლავცევი (კურსკი). **I რესპუბლიკური პრიზი** — ვ. კალანდაძე.

## ნათელი აზრისა და ოსტატობის გამარჯვება

„ეს იყო თვალსაჩინო კონკურსი, როგორც ნაწარმოებთა რაოდენობით, ისე მათი ხარისხის მხრივ", — წერს პრობლემისტთა კონკურსის მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი ა. ბატურინი (მოსკოვი). „ორგანიზატორებს უნდა მივულოცოთ დიდი წარმატება, ხოლო გამარჯვებულებს — დიდი მიღწევები!", — აღნიშნავს ეტიუდისტთა პაექრობის მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი გ. კოროლკოვი (ლენინგრადი).

ეს სრული ჭეშმარიტებაა. გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის საკავშირო კონკურსმა ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში, რომელიც გამოჩენილი მწვრთნელის ვ. ქარსელაძის ხსოვნას მიეძღვნა, უდიდესი ინტერესი გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში. კონკურსში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა თვალსაჩინო საბჭოთა საჭადრაკო კომპოზიტორმა.

საკონკურსოდ შემოვიდა 217 შემდგენლის 537 ამოცანა და ეტიუდი, მათგან 150 სამსვლიანი, 300 მრავალსვლიანი ამოცანა და 87 ეტიუდი.

როცა ლაურეატთა გვარებს თვალს გადაავლებთ, ნახავთ, რომ საქართველოს კომპოზიტორებმა, განსაკუთრებით, ეტიუდისტებმა, წარმატებას მიაღწიეს. ქართველმა ეტიუდისტებმა, პირველ ყოვლისა, მათმა ლიდერმა — საერთაშორისო ოსტატმა გ. ნადარეიშვილმა დიდი ხანია საქვეყნოდ გაითქვეს სახელი. მათი ეტიუდები ხშირად იბეჭდება ინგლისისა თუ შვეციის, საფრანგეთისა თუ იტალიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა თუ პოლონეთის საჭადრაკო ჟურნალებში. ისინი ხშირად იმარჯვებენ სხვადასხვა კონკურსში. ამიტომ მათი ახალი მიღწევა მოულოდნელი როდია.

„თვალსაჩინო წარმატება ხვდა ვ. კალანდაძის ეტიუდს. ეს არის ღრმა, ფაქიზი გემოვნებით და ტექნიკურად უზადოდ გამართული ნაწარმოები", — წერს გ. კოროლკოვი. მართლაც, თეთრი მეფისა და ორი შავი კუს ბრძოლა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. სასიამოვნოა, რომ პრობლემისტთა კონკურსში ნიჭიერი ეტიუდისტის დებიუტიც დიდი გამარჯვებით აღინიშნა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გ. ნადარეიშვილის ახალმა ნაწარმოებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა მის შემქმნელს.

კვლავ შესაშური შემოქმედებითი ნიჭი გამოავლინა ი. კრიხელმა, რომელიც წარმატებით მონაწილეობდა კონკურსის სამივე განყოფილებაში. საერთოდ, გორელები, ისინიც, ვინც უჯილდოოდ დარჩნენ, აქტიურად ჩაებნენ კონკურსში. გ. კუთარაშვილმა და შ. თოთლაძემ იმედები გაამართლეს.

მისასალმებელია ძველი გვარდიის წარმომადგენლების მ. აზრუმელაშვილისა და ვ. სერედას წარმატება.

კონკურსის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოში თითქმის არა გვყავს პრობლემისტები.

სამაგიეროდ, ეტიუდისტთა ოჯახს შეემატა ნიჭიერი ყმაწვილი დ. გურგენიძე. მისმა ნამუშევრებმა სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია და ახლა თბილისელ მოსწავლეს სათანადო მზრუნველობას გ. ნადარეიშვილი უწევს.

უადგილობის გამო ვერ მოგვყავს კონკურსში სხვა გამარჯვებული ეტიუდები. კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებები ძალაში მხოლოდ ორი თვის შემდეგ შევა. ეს იმიტომ კეთდება, რომ მკითხველები გაეცნონ ნაწარმოებებს და შემჩნეული ხარვეზები ჟიურის შეატყობინონ.

ვიმედოვნებთ, რომ ვ. ქარსელაძის მემორიალი ახალ ბიძგს მისცემს ჩვენში საჭადრაკო კომპოზიციის წინსვლას, ხელს შეუწყობს მისი მრევლის ზრდას.

თ. გიორგაძე,
კონკურსის მსაჯი-ორგანიზატორი.

### ეტიუდი № 6
ი. კრიხელი



ყაიმი

### ეტიუდი № 7
ვ. სერედა



თეთრები იგებენ

### ეტიუდი № 8
დ. გურგენიძე



თეთრები იგებენ

### ეტიუდი № 9
შ. თოთლაძე



თეთრები იგებენ

### ამოცანა № 1
ი. კრიხელი



შამათი 3 სვლაში

## ამოხსნები

**ეტიუდი № 1.** 1. d8ლ+ მფ:d8 2. a7 g1მ+ (2. ... კd1+ 3. მფ:g2 h3 4. მფg3) 3. კ:g1 კd1+ 4. მფe4 (4. მფg2 h3+ 5. მფg3 კc7+) 4. ... კc2+ 5. მფd5 კb3+ 6. მფc6 კa4+ 7. მფc5 (7. მფb7 მფd7). 7. ... კb4+ 8. მფd5 კb3+ 9. მფd4 კc3+ 10. მფe4 კc2+ 11. მფe3 კd2+ 12. მფf3 კd1+ 13. მფg2 h3+ 14. მფg3 კe1+ 15. კf2 და თეთრები იგებენ.

**ეტიუდი № 2.** 1. კg7 ლa4 2. ეa8 ლd1 3. ეa1 ლh5 4. ეh1 ლe8 5. ეh8 ლa4 6. ეa8. პოზიციური ყაიმი.

**ეტიუდი № 3.** 1. g3+! მფd3 2. ე:c2 მფ:c2 3. მფg2! b1ლ 4. ეf1 ლb3 5. ეf3 (5. ეf2+ მფb1 6. ეf1+ მფa2 7. ეf2+ მფa3 8. ეf3 ლ:f3+ 9. მფ:f3 b3) 5. ... ლb1 6. ეf1 ლb3 7. ეf3 ლb4 8. ეf2+ მფd3 9. ეf3+ მფe4 (9. ... მფ:d4 10. ეf4+ მფc3 11. ე:b4 მფ:b4 12. g4) 10. ეf4+ მფe3 11. ეf3+ და მუდმივი ჭიში.

**ეტიუდი № 4.** 1. h6+ მფg8 2. კ:g4 ეb5+ (2. ... ე1ლ 3. ლa8+ მფf7 4. კ:e6+ ლ:e6 5. ლf8+ მფ:f8 — პატი, ან 4. ...მფ:e6 5. ლ:e4) 3. მფf4 ეb4+ 4. მფg5 ე:g4+ 5. მფ:g4 e1ლ + 6. მფh3+ მფf7 7. ლf2+ ლ:f2 — პატი, ან 5. ... e1მ+ 6. მფg5 მ:g2 — ახალი პატი.

**ეტიუდი № 5.** 1. c4 ეd8 2. ეh2 ეd1 3. ეh8+! (3. ეh5 ეa1+ 4. მფb2 ეa4 5. მფb3 კc6 6. ეc5 მფd7 7. ეh5 მფc7 8. ეg5 მფb6 9. ეg1 ეb4+ 10. მფc3 კe8 11. ეf1 კd7 12. ეe1 მფa6 13. ეe7 ეb7 და ა. შ. თუ 11. ეg8, მაშინ 11. ... კf7 12. ეg4 ეb1 13. ეf4 კe8 14. ეf6+ კc6 ან 12. ეb8+ მფc5 13. ეc8+ მფd6 და ა. შ.) 3. ... მფd7 4. ეh5 ეa1+ 5. მფb2 ეa4 6. მფb3 კc6 7. ეc5 ეb4+ 8. მფa3 ეa4+ 9. მფb3 ეa1 10. მფb2 ეa4 11. მფb3 — პოზიციური ყაიმი.

**ეტიუდი № 6.** 1. b4 ლ:a4 2. ეh3 (თემატიური მცდარი კვალი — 2. ეf1 ლa2 3. ეa1 ლ:a1 4. ეh7 კd4 5. ეa7+ მფb6 6. ე:a1 კ:a1) 2. ... ლa2 3. ეa3+ ლ:a3 4. ეf7 კc7 5. ეf6+ კb6 6. ეf7 — პოზიციური ყაიმი, ან 6. ... კd4 7. ეa7+ კ:a7 — პატი. (7. ... მფb6 8. ე:a3).

**ეტიუდი № 7.** 1. კd2 ეb3! 2. ეg3! (2. e7 კf5 3. კe1 ეe3 4. კf2 e1ლ+ 5. კ:e1 ე:e1+) 2. ... ე:g3 3. e7 ეg1+ 4. კe1! ე:e1+ 5. მფb2 მოგებით, მაგალითად: 5. ... ეd1 6. b8ლ+ მფ:b8 7. e8ლ+ მფc7 8. ლe5+ მფc8 9. ლ:e2 და ა. შ.

**ეტიუდი № 8.** 1. h7 ეh8 2. კg8 მფg2 3. g4 მფg3 4. g5 მფg4 5. g6 მფg5 6. g7 ე:h7 7. კ:h7 მფf6 8. g8ე! მოგებით.

**ეტიუდი № 9.** 1. a7 ეh1+ 2. მფg7 (g8) ეg1+ 3. მფf7 ეf1+ 4. კf2+! ე:f2 (4. ... ეa1 5. კd4+) 5. მფe7 ეe2+ 6. მფd7 ეd2+ 7. მფc7 ეc2+ 8. მფb7 მოგებით.

**ამოცანა № 1.** (g1-ზე დასვით შავი ლაზიერი). 1. მe4! (მუქარით 2. ლe7) 1. ... ლ:e3 2. მ:f6, 1. ... კ:e3 2. მc5 და 3. მd7×. 1. ლe7? კ:e3!

**ამოცანა № 2.** 1. კb3 (მუქარაა 2. ლc4+ dc 3. მg6×) კf7 2. კ:g3+, 1. ... ეe6 2. მ:c6+, 1. ... ეg7 2. ეe2+.

**ამოცანა № 3.** 1. მფb7! f2+, 2. მd5+, 1. ... ეb4+ 2. მb5+.

**ამოცანა № 4.** 1. ეg7! ეa3 2. ეa7 ე:a7 3. ლh7 ე:h7 4. მc2×. 1. ... ე:g7 2. ლf2 კf5 3. ლ:c5.

**ამოცანა № 5.** 1. ეh4 (1. მb3? ab!) 1. ... ეc6 2. ე:b4 ეg6 3. ეh4 ეc6 4. ე:a4 ეg6 5. ეh4! (5. მb3? კa5) 5. ... ეc6 6. ეb4 ეg6 7. მb3!

**ამოცანა № 6.** 1. კf8 b5 2. კb4 b6 3. კf8 b4 4. კh6! b5 5. კe2 f2 6. კ:b5 მფ:g4 7. კd7×.

### ამოცანა № 2
გ. კუთარაშვილი



შამათი 3 სვლაში

### ამოცანა № 3
მ. აზრუმელაშვილი



შამათი 3 სვლაში

### ამოცანა № 4
ვ. კალანდაძე



შამათი 4 სვლაში

### ამოცანა № 5
ი. კრიხელი



შამათი 8 სვლაში

### ამოცანა № 6
გ. კუთარაშვილი



შამათი 7 სვლაში

# ლიდერთა შეხვედრა

ფოთი, 12 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ აქ შედგა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ბოლოსწინა, XIV ტური, რომელმაც მაინც ვერ გაარკვია ჩემპიონის ვინაობა, თუმცა ლიდერები — გურგენიძე და ჯინჯიხაშვილი შეხვდნენ ერთმანეთს.

პარტია მწვავედ წარიმართა. გურგენიძემ უზუსტოდ ითამაშა დებიუტში და უარესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდგომ მეთოდურად გამოიყენა ჯინჯიხაშვილის შეცდომები და მდგომარეობა გაათანაბრა. გართულებისთვის ბრძოლა სარისკო იყო და მეტოქენი დაზავდნენ.

უბილავა და ჩეჩელიანი თავგამოდებით იბრძვიან III ადგილისთვის, რომელიც საკავშირო პირველობის ნახევარფინალის საგზურს იძლევა. ამ დღეს ორივემ იმარჯვა: უბილავამ დაამარცხა ნეურონოვი, ჩეჩელიანმა — ბოკუჩავა.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: იზვოზჩიკოვი — ჩიქოვანი 0,5:0,5, მიქაძე — ჟანოევი 0,5:0,5, ბუსლაევი — გედევანიშვილი 1:0. ისვენებდა გიორგაძე.

გუშინ გათამაშდა ერთადერთი გადადებული პარტია — ბუსლაევ — ჯინჯიხაშვილისა. მეტოქეებმა კარგა ხანს იბრძოლეს, მაგრამ უპირატესობა ვერც ერთმა ვერ მოიპოვა და ბოლოს შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, დასკვნითი, XV ტურის წინ სატურნირო ცხრილის ზედა სართულში ასეთი მდგომარეობაა: მ. ტალი — 11 ქულა, რ. ჯინჯიხაშვილი — 10,5 (ორივემ დაამთავრა ტურნირი), ბ. გურგენიძე — 10, ე. უბილავა — 9,5, ს. ჩეჩელიანი — 9, ა. იზვოზჩიკოვი — 8.

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## გუშინ...

შედგა დასკვნითი, XV ტური. აი, მისი შედეგებიც: გედევანიშვილი — გურგენიძე 0,5:0,5, ჟანოევი — უბილავა 0:1, გიორგაძე — იზვოზჩიკოვი 0,5:0,5, ბოკუჩავა — მიქაძე 0,5:0,5, ჩეჩელიანი—ლევინი 1:0, ნეურონოვი—ბუსლაევი გადაიდო.

ამრიგად, I ადგილი დაიკავა უკონკურსო მონაწილემ დიდოსტატმა მ. ტალმა (რიგა) — 11 ქულა, II-IV ადგილები გაიყვეს ბ. გურგენიძემ, რ. ჯინჯიხაშვილმა და ე. უბილავამ (სამივე — თბილისი)—10,5-10,5 ქულა.

## -20 ს

◆ კაირო, 13 მარტი. თბილისელი ა. მეტრეველი გავიდა არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში. მეოთხედფინალში მან დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ი. კუკალი — 6:3, 8:6, 7:5. სამ საათზე მეტს გაგრძელდა უნგრელ ი. გუიაშისა და მოსკოველ ვ. კოროტკოვის ორთაბრძოლა. გაიმარჯვა პირველმა — 1:6, 6:2, 8:6, 6:4, 6:4.

◆ სტოკჰოლმი, 13 მარტი. შვედმა ქვემძიმე წონის ძალოსანმა ბ. იოჰანსონმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი აჭიმვაში — 181,5. ეს შედეგი 0,5 კგ-ით უკეთესია რიგელ ქ. პუმპურინშის ამასწინანდელ მიღწევაზე.



გუშინ რუსთავში დამთავრდა რესპუბლიკური [illegible] პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ტემპერამენტული ვარჯიშით მაყურებლებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა 14 წლის ქუთაისელმა მოსწავლემ სვეტლანა ბრიკმა, რომელსაც თქვენ სურათზე ხედავთ.

ფოტო ვ. ბუკინისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# წყნარი ოკეანის თასი

დაიწყო წყნარი ოკეანის თასზე პოპულარული საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო ეტაპი. საბჭოთა და უცხოური გემების 680 გუნდმა 2200-ზე მეტი ორთაბრძოლა ჩაატარა ფეხბურთში, ფრენბურთში, ძალოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ბადმინტონში, ძიუდოში, ჭადრაკსა და სპორტის სხვა სახეობებში. საპატიო პრიზისთვის წარმატებით იბრძვიან შორეული აღმოსავლეთის ნაოსნობის საბჭოთა გემების „ომსკის“, „ხაბაროვსკის“, „ოსტროგოჟსკის“, „გავრილ დერჟავინის“, იაპონიის „ტოსიკა-მარუს“, კუბის „ლა-პლატას“, ნორვეგიის „ვისტონის“, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თბომავალ „მაგდებურგის“, პოლონეთის, ინგლისის, იუგოსლავიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხომალდების ეკიპაჟები.

სულ შეჯიბრებას 30 ათასამდე მონაწილე ჰყავს. ეს უჩვეულო მასობრიობა სავსებით გასაგებია, რადგან ასპარეზობის დევიზი ასეთია: „წყნარი ოკეანე — მშვიდობისა და მეგობრობის ოკეანე“. შეჯიბრების პირობებით, საბჭოთა მეზღვაურ ფიზკულტურელებთან ერთად სარბიელზე გამოდიან იმ უცხოური გემების ეკიპაჟები, რომლებიც წყნარი ოკეანის აუზში ცურავენ, ბევრი საპორტო ქალაქის სპორტსმენები.

საინტერესოა, რომ ამ შეჯიბრებაში ნოლი არავის ეწერება. წაგება ფასდება 1, ფრე — 2, მოგება — 3 ქულად. შეჯიბრების ორგანიზატორი საზოგადოება „ვოდნიკი“ ვლადივოსტოკში ყოველდღე იღებს რადიოგრამებს შეხვედრების შედეგების შესახებ. მაგალითად, ერთ-ერთი რადიოგრამით თბომავალ „ანტონ ჩეხოვის“ მეზღვაურები იუწყებიან, რომ ამ გემის ფეხბურთელთა გუნდმა ანგარიშით 2:0 დაამარცხა ვანკუვერის სტუდენტები. სხვა ცნობები გვატყობინებენ საბჭოთა და უცხოელი მეზღვაურების ტურნირების შედეგებს კუნძულ ჰოკაიდოზე, იოკოჰამაში, ჰონკონგში, კუბაში და ავსტრალიაშიც კი.

საწვრთნელი ვარჯიში სულ სხვადასხვა პირობებში ტარდება. ღელვის დროს ფრენბურთის ბურთს კაპრონის ძაფზე ამაგრებენ, რათა ტალღებში არ გადავარდეს. თავისებურ სპორტულ მანეჟებადაა ქცეული თბომავლების ცარიელი ტრიუმები. შეხვედრები ტარდება თავისუფალ საათებში, რაც ასე იშვიათია გემზე, ან ხანმოკლე შესვენების დროს.

წყნარი ოკეანის თასზე ბრძოლა პატიოსნური, კორექტული და სპორტულია, თუმცა მსაჯები პროფესიონალები არ არიან. მათ თვითონ მონაწილეთაგან ირჩევენ.

ეს პრიზი დაწესდა მას შემდეგ, რაც იაპონიის ზღვის თასზე ასპარეზობაში წინასწარ განზრახული „საზღვრები“ გადალახა. მაშინ საპატიო ჯილდო, უფრო ზუსტად, ერთბაშად სამი პრიზი დაისაკუთრეს შორეული აღმოსავლეთის ნაოსნობის ხომალდებმა „იგარკამ“ და „შადრინსკმა“, აგრეთვე, იაპონიის „კუნისიმა-იულმარუმ“.

ახლა კი თავის პირველ მფლობელს ელის წყნარი ოკეანის თასი. საპატიო ინტერნაციონალური პრიზი უძლიერეს ეკიპაჟს გადაეცემა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისთვის.

ვ. კლიმენტიევი.
(საქდესის კორ.).
ვლადივოსტოკი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

# საჭიროა 18 ქულა!

12 მარტს გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა ნახევარფინალური მატჩები.

პრაღა. ჩემპიონთა თასის მფლობელმა ცსკა-მ დიდი ანგარიშით დაამარცხა ადგილობრივი „სლავია“ — 107:79 (50:47). ბრძოლა მძაფრი მხოლოდ პირველ ტაიმში იყო. თავდაპირველად მასპინძლები დაწინაურდნენ, მაგრამ მე-18 წუთიდან მოსკოველებმა იგდეს ხელთ ინიციატივა.

შესვენების შემდეგ არმიელებმა მეტოქის კალათის მძაფრი და ხანგრძლივი შტურმი წამოიწყეს და 25-ე წუთზე ისინი უკვე 10 ქულით იყვნენ წინ (66:56). შემდეგ სხვაობამ კიდევ უფრო იმატა: 30-ე წუთზე — 79:64, 35-ე წუთზე — 93:69...

არმიელთა შორის ყველაზე შედეგიანები იყვნენ ანდრეევი (26 ქულა), ქარმუხამედოვი (21) და სიდიაკინი (18). მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს ზედნიჩეკმა (28), ბლაჟეკმა (18) და კოვარჟმა (17).

მადრიდი. მასპინძლები დამარცხდნენ მეორე ნახევარფინალურ მატჩშიც: ადგილობრივმა „რეალმა“ დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფარ-ხმალი დაყარა იტალიის „ინისთან“ — 86:90.

ეს შედეგი გათამაშების ნამდვილი სენსაციაა, ვინაიდან ესპანელი კალათბურთელები შინ თითქმის არ აგებენ.

რიგა. გაიმართა ქალთა ტურნირის ნახევარფინალური მატჩებიც. ჩემპიონთა თასის მრავალგზის მფლობელმა ტტტ-მ დიდი ანგარიშით მოუგო სოფიის „აკადემიკს“ — 83:36. სსრ კავშირის ჩემპიონი წლეულსაც გათამაშების მთავარი ფავორიტია.

კრაკოვი. ნახევარფინალისტთა მეორე წყვილის — ადგილობრივი „ვისლისა“ და ჩეხოსლოვაკიის „სპარტას“ ორთაბრძოლა ერთობ დაძაბული გამოდგა. პირველი ტაიმი მოიგეს სტუმრებმა — 30:25. პოლონელი კალათბურთელი ქალები განსაკუთრებით გააქტიურდნენ შესვენების შემდეგ და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს — 54:52.

ნეაპოლი. თასების მფლობელთა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ფიდესი“ და თბილისის „დინამო“. ბრძოლის ბედი ფაქტიურად გადაწყდა პირველივე ტაიმში, რომელიც იტალიელმა კალათბურთელებმა 15 ქულით მოიგეს. შეხვედრის საბოლოო შედეგია 86:69 „ფიდესის“ სასარგებლოდ.

ფინალში გასასვლელად „დინამომ“ განმეორებითი მატჩი 18 ქულით უნდა მოუგოს მეტოქეს.

ვიში. მეორე ნახევარფინალური წყვილის ორთაბრძოლაშიც გამარჯვება მასპინძლებმა იზეიმეს: საფრანგეთის თასის მფლობელმა „ვიშიმ“ 18 ქულით სძლია ათენის აეკ-ს.

ორივე გათამაშების საპასუხო ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 26 მარტს.

# ვარსკვლავების მოლოდინში

ჰელსინკი, 11 მარტი. ზამთრის უნივერსიადაში, რომელიც ფინეთში უნდა ჩატარდეს, უკვე 27 ქვეყნის 800 სტუდენტი-სპორტსმენი აპირებს გამოსვლას.

უნივერსიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გამოაცხადა, რომ სტუდენტთა შეჯიბრება ვრცელი პროგრამით ჩატარდება ფინეთის სხვადასხვა ქალაქში 3-9 აპრილს. ჰელსინკში მოეწყობა ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში, ტამპერეში — ჰოკეისტთა შეხვედრები, როვანიემიში ბრძოლას გამართავენ მოთხილამურეები და მოციგურავეები, ხოლო სამთომოთხილამურეები კიდევ უფრო ჩრდილოეთით—პიუხტუნტურიში, ლაფლანდიის სამხრეთი მთების ფერდობებზე მოიყრიან თავს.

ორგანიზატორები ფიქრობენ, რომ უნივერსიადაში მონაწილეობას მიიღებენ ისეთი ცნობილი სპორტსმენები, როგორიც არიან: მსოფლიოს ჩემპიონი ორჭიდში ლ. რიგლი (ჩეხოსლოვაკია), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ციგურებით სწრაფრბენაში დ. ფორნესი (ნორვეგია), ოლიმპიური ჩემპიონი, დასავლეთგერმანელი მოციგურავე ე. კელერი, სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი გ. გრიმერი (გდრ), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში გ. ნაპალკოვი (სსრ კავშირი).

# ბრძოლა არ დამთავრებულა

შტრბსკე-პლესოს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგაც არ წყდება ბრძოლა თოვლიან ბილიკებზე: ფინეთში, გდრ-ში, შვეციაში, ნორვეგიაში, გფრ-ში საინტერესო ტურნირები გაიმართა.

ფინეთში ჩატარდა უჩვეულო ასპარეზობა — ქვეყნის ვეტერანთა ჩემპიონატი 10 კილომეტრზე რბენაში. 40 წლისა და უფროსი ასაკის სპორტსმენებში ყველას აჯობა ს. მანონენმა (45.58,0), 45 წლისა და უფროსი ასაკის მოთხილამურეებში — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა ვ. ჰაკულინენმა (45 27.0), 50 წელზე ხნიერთა შეჯიბრებაში — ვ. ვალონენმა (49.37), 55 წელს გადაცილებულთა რბოლაში — ე. ლემეტიმ (54.03).

ნაკრების წევრები კოტკაში შეიკრიბნენ და აქ 10 კილომეტრზე შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მარათონში მსოფლიო ჩემპიონმა კ. ოიკარაინენმა აქაც იმარჯვა — 36.13,0. მეორე იყო კ. ლაურილა, მესამე — რ. ლეჰტინენი.

5 კილომეტრზე ქალთა შეჯიბრება მოიგო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მ. კაიოსმაამ — 19.39. ჰ. ტაკალოს მან 16 წამი მოუგო.

მეორე დღეს ნილსიას (ფინეთი) მიდამოებში გამართულ საერთაშორისო ტურნირში ყველას აჯობა ო. მარტინსენმა (ნორვეგია), რომელმაც მეტად იოლი 10-კილომეტრიანი ტრასის გავლას 29.06 მოანდომა. II ადგილზეა ოიკარაინენი — 29.29.

ყველაზე დიდი შეჯიბრება კუოპიოში ჩატარდა. 50 კილომეტრზე რბენა მოიგო მასპინძელმა კ. ჰიმალაინენმა — 3:05.47. დიდი ტრამპლინიდან ხტომაში იმარჯვა მ. გოლსერმა (ავსტრია) — 207,6 (ნახტომები — 87,5 და 85,5).

ობერსტდორფში (გფრ) მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებული ი. მატოუშის (ჩეხოსლოვაკია) შესახებ უკვე გიტყობინებდით. ახლა დავსძენთ, რომ II ადგილზე გავიდა მატოუშის თანაგუნდელი რ. ჰიონლი, რომელიც მეორე ცდაზე წლეულს მსოფლიოში ყველაზე შორს (149 მ) გადახტა.

## 16 მარტს

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ცენტრალურ ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისთვის შექმნილი სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის საკითხების შემსწავლელი სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციას („თანამედროვე ეპოქის ხასიათი“) წაიკითხავს დოცენტი ო. ნიორაძე.

დასაწყისი 17 ს.

## ხვალ რუსთავში

46-ე კვარტალის მიდამოებში გაიმართება სსრ კავშირის უძლიერეს მოტოკროსმენთა ტურნირი. სტარტზე გამოვლენ საკავშირო ჩემპიონატებისა და საერთაშორისო შეჯიბრებების პრიზიორები და სხვები.

დასაწყისი 13 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08098